№ 15 21 იანვარი, შაბათი 1866—1878 21 იანვარი, შაბათი № 15

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლში, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლებში, № 8. (ცილინდრით)

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ტფილისი

ამ 1878 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

გამოდის იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც დღემდინ გამოდიოდა ხოლმე.

**ხელის-მოწერა**

ტ ფ ი ლ ი ს შ ი—„მიიღება დროების“ რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლებში).

გ ა რ ე შ ე მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію „Дроэба“.*

**ფასი გაზეთისა**

| | | |
|---|---|---|
| მთელის წლისა . . . . . . . . . . . . | 8 მან. | „ კაპ. |
| ექვსის თვისა . . . . . . . . . . . . | 4 „ | 50 „ |
| ოთხის თვისა . . . . . . . . . . . . | 3 „ | „ „ |

უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწერლებსა და აგენტებს: **ხვედრი ფული გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი;** თუ არ აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უ ფ უ ლ ო თ გ ა ზ ე თ ს ა რ ა ვ ი ს ა რ გ ა უ გ ზ ა ვ ნ ი ს.

# ტელეგრამმები

## ბრძოლის ველიდამ

(ოფიციალური)

**ოზურგეთი,** 20 იანვარს. 18 იანვარს, ციხის-ძირთან, მ ო კ ლ უ ლ ი ა რ ი ა ნ: პორუჩ. პორფინენკო, პრაპ. ანდრეევი, პორუჩიკები: ქოტლუბაი და ლისოვსკი, პოდპორუჩიკები: ბრადოვსკი და ანტონოვი, სოტნიკი ფედოროვი, ხარუნჯი ულრი. დ ა ჭ რ ი ლ მ ე ბ ი არიან: ღენ.-მაიორი შელემეტიევი (მოკვდა), სოტნიკი სენიუკინი (მსუბუქათ), პოდპოლკ. ლინევიჩი (მძიმედ), პარუჩიკები: სტრადოვსკი (მსუბუქ.) და ფედოროვი(მძიმ.), პრაპორსჩიკები: ივანოვი (მძიმ.), ბრიგლინი (მძიმ.), პროზვიცკი (მძიმ.) და პანკოვი (მძიმ.), პორუჩ. სერაფიმოვიჩი (მძიმ.), პრაპ. ჩაიკინი (მძიმ.), მაიორი სამსონოვი (მძიმ.), შტ.-კაპიტ. ა ბ ე ლ ო ვ ი (ბეჭში მსუბუქათ), შტ.-კაპ.ფონ-ბრებენი (მძიმ.), პორუჩ. აკცინოვი(მსუბ.) პოდპორ. კრუტეცკი (მსუბ.), პრაპორსჩიკები: ტემნიკოვი (მძიმედ), სპარსეთის პრინცები: უაფლან-ალა (მუცელში, მძიმედ) და ალი-ყული-მირზა (მსუბ.), ესაული სტაროსილო (მსუბ.), სოტნიკი ბელაევსკი (მძიმ.), ხარუნჯი იუდინი (მძიმ.), გურიის დრუჟინის: პოდპორუჩ. ბ ე რ ი ძ ე (ფეხში, მძიმედ), პარუჩიკი მ ა ქ ს ი მ ე ი შ ვ ი ლ ი (ფეხში, მძიმედ). გ ა კ ა წ რ უ ლ ე ბ ი ა რ ი ა ნ: პარუჩ. ნიკოლსკი, კაპიტ. ანდრეევი, პარუჩ. ქ ა ნ დ ე ლ ა კ ი, პრაპორსჩ. იუდინი, ხარუნჯი მუდრი, ქართველების ქვეითა დრუჟინის პრაპორსჩ. ჯ ა ყ ე ლ ი და ლენკორ. პოლკის კაპიტანი მ ე ფ ი ს ო ვ ი.

სულ მოკლულია 8 აფიცერი, დაჭრილი 25 და გაკაწრული 7.

დიდი მთავარის დუნაის არმიის მთავარ-სარდლის ტელეგრამმა დიდი მთავარის კავკასიის არმიის მთავარ-სარდლის სახელობაზედ.

**ადრიანოპოლი,** 15—19 იანვარს. 13 იანვარს ღენერალ სტრუკოვმა აილო ლ ი უ ლ უ - ბ ი რ გ ა ს ი; პოლკოვნ. კუტეინიკოვის ყაზახებმა ბრძოლით აიღეს რკინის გზის სტანცია. ჩვენის მხრით 1 მოკლულია და 1 დაჭრილი. ბევრი ტყვეები ავიყვანეთ და 200 ვაკონამდინ წავართვით. ღენ. სტრუკოვმა დაეწია

# ფელტონი

## შვილდ-ისარით

### ნ ა დ ი რ ო ბ ა

(ქუთაისის ცხოვრების სურათები)

სწორეთ ექვსის წლის ვიქნებოდი, როდესაც შვილდ-ისარის, ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან, შვილ-კოდალის ხმარება დავიწყე. დღეში, უკანასკნელი რომ ვსთქვა, ხუთს შვილდს მაინც გავტეხდი და ათს ისარს ან კოდალას დავკარგავდი ბელურისა და თუ სხვა წვრილი ჩიტების ნადირობაში.

ჩემის წყალობით ჩვენს ეზოს წვრილ-ჩიტობა არ ეკარებოდა ისე დაფთხობილი იყვნენ და ისე ვიცავდი აქაურობას.—უნდა გაგიტყდეთ, რომ ჩემთვის იმ დროს ზამთარი, ზაფხული, გაზაფხული და შემოდგომა ერთი იყო; არც თავს მეხურა რამე, არც ფეხს მეცვა და არც საგზლის წაღება მიყვარდა, თუ ეზოს გარდაღმა, სადმე შორს, გარდავიდოდი „სანადიროთ“. რამდენათაც ჩემს ხნოვანობას და ხელის სიმარჯვეს მოეთხოვებოდა, ძალიან გავვარჯიშდი ჩემს საქმეში, ასე რომ მიზანს იშვიათად ავაცილებდი...

×

მეზობლებს ძიელ ვეჯავრებოდი, რადგან ჩემმა კოდალამ ბევრის იმათგანის თუ ბოვშვებს კინაღამ თვალები წამოთხარა და თუ სახლების ფანჯრებიც ამოუმტვრია ზამთარში, აღმოსავლეთის ქარის გრიალის დროს. როდესაც მხარზე რაინდულათ მოგდებული შვილდ-კოდალათი დამინახავდნენ, დედები ბავშვებს მალავდნენ და „გადიები“ კრუხწიწილას, რადგან, თუ წვრილ-ჩიტობას ვერ შევხვდებოდი, მაშინ ჩემს კოდალას მეზობლის ეზოში გარდავახვედრებდი, და, თუ წიწილებსაც თვალს მივატანდი, არ შეიძლებოდა კოდალა იმათში არ ამერია. ჩემი კოდალის სროლა, კრუხის გასარსალებული წიწილას გარშემო კრუხუნით ტრიალი და „გადიას“ ჩემი წყევა-კრულვა ერთი იყო: ძაღლებსაც კი წამოშისიანებდნენ, ჭოლოკსაც მომაყოლებდნენ, მაგრამ ან ერთი, ან მეორე მე სად მომეწეოდნენ!? ერთს კი მოვიხედავდი უკან—მდევარი ახლოს ხომ არ არის-მეთქი და ის იყო და ის—ერთს წუთას გამქრალი ვიყავი ქარივით.

იმ დღესვე ან მეორე დღეს საჩივრები საჩივრებზედ მიდიოდა ჩემზე მამა ჩემს:

„— ბატონო, შენი ჭირიმე! წიწილებმა შენი ჭირი წაიღოს, ბავშვები ვერ გამოგვიშვია გარეთ სათამაშოთ; ვინ იცის, ეშმაკს თვალი არ უჩანს, რომ თვალი არ წამოგვითხაროს კოდალათი. დეითხოვეთ შენი ჭირიმე!“—ასე ჩიოდნენ დედები. ახლა გადიები:

„—ბატონო, შენი ჭირიმე! ქორი არ შვრება ჩვენს სოფელში იმისთანა სა-

1,500 ურემს, რომლებსაც 5,000 კაცი დაიარაღებული ოსმალო მოსდევდა; უბრძანა იმათ ფოფ-იარაღის დაყრა; ცოტა წინააღმდეგობის შემდეგ ამათ აასრულეს სტრუკოვის ბრძანება.

ზუჯითი ამბავი მტრისა არა გვაქვს. ტყვეების ჩვენებით 25,000 კაცი მტრის ჯარი სლივენიდამ და პოტლიდამ ადრიანოპოლისაკენ მოდიოდნენ 6 იანვარს; მაგრამ ხანლი-მნიჯასთან ამათ შეხვდა მეჰმედ-ალი-ფაშა და სტამბოლისაკენ დააბრუნა.

ზუშინ, 14 იანვარს, ღენ. შმიტნიკოვის ჯარმა უბრძოლველად დაიჭირა დომეტიკი და უზულ-ქიოფრო. ამ ქალაქების მცხოვრებნი დიდის ამბით შემოეგებნენ ჩვენ ჯარებს.

დღეს ადრიანოპოლში მივა ღენ. რადეცკის კორპუსის მოწინავე ჯარები.

დღეს აქაურს ეკკლესიაში მე მოვისმინე მიტროპოლიტის წირვა, რომელსაც დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

თბილი ტაროსია, მაგრამ მუდამ წვიმს და საშინელი ქარი ჰქრის.

# ომის ამბები

### მორიგების თაობაზე

არავითარი ნამდვილი ამბავი არ მოგვდის ჯერ მორიგების თაობაზე. ყაზანლიკში არიან, როგორც მოგეხსენებათ, ამ ჟამად შეკრებილნი ოსმალეთის დანდობილნი პირნი და რუსეთის წარმომადგენელნი ამ საგნის შესახებ მოსალაპარაკებლად.

სანამ ეს მოლაპარაკება გათავდება, ორივე მოწინააღმდეგენი და ინგლისიც საბრძოლველად ემზადებიან და ჯარებს აგროვებენ. ოსმალეთის ნაციონალურ კრებას მოუხსენებია ხონთქრისათვის, რომ მთავრობამ ეცადოს მოურიგდეს რუსეთსაო; მაგრამ, თუ მტერმა მძიმე პირობები მოგვთხოვოს, იმ შემთხვევაში ჩვენ უკანასკნელი ღონის-ძიება ვიხმაროთ ყველამ, ვისაც თოფის ხმარება შეგვიძლიან, ბრძოლის ველზედ გავიდეთ და ამ ნაირად დავიცვათ ჩვენი ქვეყანაო.

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილმა დეპეშამ გვაცნობა, რომ ინგლისის მთავრობამ ამ ერთი კვირის წინათ, როცა რუსებმა ადრიანოპოლი დაიჭირეს და გალიპოლისაკენ გასწიეს, ხმელთა-შუა ზღვის თავის ფლოტის ბრძანება გაუგზავნა, რომ ჯარები გამოიყვანონ გალიპოლში და ამ ქალაქს იქით, სტამბოლისაკენ რუსები არ გაუშვან.

ეს განკარგულება ერთის შეხედვით ინგლისისაგან ომის გამოცხადებას ჰგვანდა. მაგრამ შემდეგ მოვიდა ამბავი, რომ გერმანიისა და ავსტრიის რჩევით, ინგლისმა თავის ფლოტი ისევ ბეზიყის ნავსადგურში დააბრუნაო, რადგან ზემოხსენებულ სახელმწიფოებმა დაარწმუნესო, რომ უმთავრესი პირობები მორიგებისა ევროპის უმთავრეს სახელმწიფოების დაუკითხავათ არ დამტკიცდება და ამნაირად ინგლისის ინტერესებს არავითარი ზიანი არ მიეცემაო.

რუსეთიც თავის მხრით ამზადებს ახალ ჯარებს და ბრძოლის ველისაკენ უნდა გაგზავნოს.

— „მოსკოვის უწყებებს“ მოსვლია შემდეგი დეპეშა 12 იანვარს სტამბოლიდამ:

„ოსმალეთის მთავრობას მიუვიდა დღეს რუსეთის პირობები მორიგების თაობაზე. ეს პირობები ძალიან სასტიკად ეჩვენა პორტას. განსაკუთრებით ეძნელებათ აქ იმ მუხლზე დათანხმება, რომელიც ოსმალეთისაგან ითხოულობს ყველა ომის ხარჯის გადახდას, და სანამ ეს ხარჯი (კონტრიბუცია) არ იქნება გადახდილი, მანამ ერთი ნაწილი ოსმალეთისა რუსის ჯარებით იქნება დაჭერილიო.

„ამ პირობების შესახებ მოლაპარაკება არის ამ ჟამად აქ, და ამბობენ, რომ ოსმალეთი იძულებული იქნება ამ რუსეთის პირობებზე ძალა-უნებურად დათანხმდესო.

— ამავე გაზეთში მოყვანილია შემდეგი დეპეშა ლონდონიდამ მიღებული 12 იანვარსვე:

„მინისტრმა ნორტკოტმა გამოაცხადა, რომ ის მთავრობის სახელით მოსთხოვს ამ დღეებში პარლამენტს ხაზინიდამ ფულების დახარჯვის ნება-რთვას სამხედრო და ფლოტის საჭიროებისათვის„

### აზიის ბრძოლის ველიდამ

ზუშინდელმა ოფიციალურმა ტელეგრამმამ ერთხელ კიდევ მოგვიტანა ციხის-ძირთან ჩვენი ჯარების (ქობულეთის ატრიადის) ამბავი. პირველად გასული წლის ივლისის 11-ს მიადგნენ ხუც-უბნიდამ ქვირიკესა და ციხის-ძირს ჩვენი ჯარები და მაშინაც ისე უბედურად გათავდა, როგორც ამ 18 იანვარს: ათასზე მეტი კაცი დაიხოცა და ჩვენები უძულებულნი შეიქნენ უნამყოფოდ უკანვე დაბრუნებულიყვნენ.

თუ ღენ.-მაიორი შელემეტიევი მოგვიკლეს, თუ 20 აფიცერზე და 600 კაცზე მეტი დაჭრილი და მოკლული გვყავს, ალბათ გაცხარებული სროლა ყოფილა.

ეს მეორე მაგალითი გვიმტკიცებს ჩვენ, რომ ამ მხრით, თუ ართვინიდამაც არ მიადგნენ ჩვენი ჯარები ბათუმს, ამ ქალაქის აღება შეუძლებელია; შეუძლებელია იმიტომ რომ ციხის-ძირი ბუნებითა და ხელოვნურად მშვენიერად გა-

---

ცოდაობას, რასაც თქვენი შვილი ჩადის! მაგის კოდალას, ბატონო არც „ჰაუ-ჰაუს“ ძახილი გაეწყო და არც ჩვენი და ძაღლების ქაქათი! მარტო კრუხის საცოდაობამ მოგვკვლა, სხვა არა იყოს-რა; დეითხოვეთ, შენი ჭირიმე!“

ასე შესჩიოდნენ მამა ჩემს, მაგრამ მამა ჩემი ერთობ გულ-კეთილი კაცი იყო და, რადგან მე დედის-ერთაც ვიყავ, თუ იქ მომჩივრებთან ვითომ ცოტას გამიწყრებოდა, თორემ შემდეგ მისთვის მე ისევ ის დედის-ერთა და აზიზი შვილი ვიყავი: მეზობლის ეზოში, წიწილებზე ნადირობის დროს, დაკარგულს კოდალას მაგიერ, მეორე საათში მეორე კოდალა მზათ მქონდა, ახალი მომჩივრების მოსაპოებლად...

×

ასე გავატარე ჩემი დრო, სანამ ცხრა წლის არ შევიქენი.

შევიქენი ცხრა წლისა და მამა ჩემმაც ამხადა ჩემი იარაღი და, იმის მაგიერ, თავის ხელით დაწერილი ქართული ანბანა მომაჩეჩა ხელში.

ზამიკვეთა თავათვე „პირველი უროკი“, “ანუ“, „ბანუ“-ს წესით და დამაყენა „განათლების გზაზედ“. უკანასკნელად გათლილი შვილდ-კოდალა კი ჩემს სასტუმალთან დამიკიდა და მითხრა:

— ჩემო „შვილდ-ისრიელო“, აქ ეკიდოს შენი შვილდ-კოდალა! სანამდისინ ნასწავლი და დავაჟკაცებული შორის ქვეყნიდამ შინ არ დაბრუნდები, იმას ხელს არავინ ახლებს. მაშინ, თუ მე ცოცხალი დაგიხვდი, ეს შენი შვილდ-კოდალა შენცა და მეც შენს ბავშობას მოგვაგონებს და ორივენი გავიხარებთ!

×

ამის შემდეგ თექვსმეტმა წელმა განვლო და ამ დროს განმავალობაში მე ბევრი ვისწავლე და ბევრი ნასწავლიც დავივიწყე; ბევრიც ვიხეტიალე თუ ჩვენში და თუ უცხოეთში, მაგრამ ჩემი სამშობლო და ჩვენი ქვეყანა მაინც არ დამივიწყნია...

ოც-და-ხუთის წლის ვიქნებოდი, რომ შორის ქვეყნიდამ დავბრუნდი ისევ ჩემს სამშობლოში და მამიჩემის ქოხში რომ შევედი, ჩემს ოთახში, წარმოიდგინეთ, ჩემი შვილდ-კოდალი ისევ იმ ადგილას დაკიდებული დამხვდა, სადაც მამა ჩემმა ამ თექვსმეტის წლის წინეთ დაჰკიდა!..

მართალი იყო მამი ჩემის სიტყვები: ჩემმა შვილდ-კოდალამ მთელი ჩემი ბავშობა და ბავშური ავაზაკობა მამაგონა. ყველაფერი ესენი, ჩემზე უკვეთ, მამა ჩემს ახსოვდა, და იმის შემწეობით კიდევ ორი იმტენი მომაგონდა. სათითაოთ ყველა მომჩივანი დედების და „გადიების“ ჩივილი წარმომიდგინა მამა ჩემმა და მთელი ორი კვირა მე და ის ამ მოგონებით ვიქცევდით თავს და ვხარობდით....

×

ერთს დილას, როდესაც ჩემს შვილდ-

მაგრებულია, და დიდ-ძალი ჯარი აქედამ იმას ვერ მიადგება.

—

გაზეთს „Indèpendance Belge“-ში დაბეჭდილია ტრაპიზონიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი, სხვათა შორის, შემდეგ ამბავს იწერება ბათუმზედ:

„12 დეკემბერს მოვიდა აქ ბობარტ-ფაშა შვიდი ხომალდით, რომელთ შორის სამი ჯავშნიანია. მაგრამ ყველა ეს ხომალდები აქ არ რჩებიან, ზოგს იქით გზავნიან, ზოგს აქეთ.

„ბათუმის (დერვიშ-ფაშის) კორპუსს ამ დღეებში კიდევ ახალი ჯარები მოუვიდა და ამნაირად ეს კორპუსი ახლა 23,000 კაცისაგან შესდგება. ამბობენ, დერვიშ-ფაშამ 10,000 კაცი მოითხოვა კიდევაო, მაგრამ ოსმალეთი ისეთს მდგომარეობაშია, რომ არა მგონია, ამ ჯარების გამოგზავნა შეიძლოს.“

—

ფრანცუზული გაზეთი „Le Temps“-ის არზრუმელი კორრესპონდენტი ამბობს, რომ არზრუმში ამჟამად უკანასკნელი 5,000 ავათმყოფი წევსო, მომეტებული ნაწილი სახადით, და ამათ მოსავლელად და საქიმოთ 32 აქიმში მხოლოთ 6 კაცი დარჩენილაო.

ამავე კორრესპონდენტის სიტყვით, ხორბალი არზრუმში ჯერ ბლომათა აქვთ, მაგრამ უბედურება ეს არისო, რომ ფქვილად ვერ უქცევიათ, რადგან თითქმის ყველა წისქვილები რუსების ჯარის ხელშიაო.

—

უფ. ნ. ახვლედიანი, გაზეთის „Обзоръ“-ის ყარსელი კორრესპონდენტი ძალიან ცუდ მდგომარეობას იწერება ალექსანდრაპოლიდამ ყარსში მიმავალ გზისას. მთელს ამ გზაზე, თითქმის ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით გაყინულ ხალხს და საქონელს, ჯარისათვის წაღებული სუხრები ტომრებით ჰყრია გზაზედო, რადგან მეურმეები გაყინულან და იმათი საქონელიცაო და სხვ.

## ევროპის ბრძოლის ველიდამ

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა სტამბოლიდამ 12 იანვარს მიღებული:

„მეჰმედ-ალი-ფაშის ჯარებმა ქირკილისიდამ ლიულე-ბურგოსში დაიწიეს. ლიულე-ბურგოსიდამ სტამბოლამდინ გზა ჯერ რუსებისაგან დაჭერილი არ არის. გალიპოლისაკენ მიმავალ რუსის ჯარებმა დემოტიკი გაიარეს.

„მომეტებული ნაწილი იმ ზარბაზნებისა, რომელიც ოსმალეობის ჯარმა ადრიანოპოლიდამ წამოსვლის დროს თან წამოიღეს, ჩატალჯიში მოიტანეს. 60 ზარბაზანი დარჩათ იმათ ადრიანოპოლში, მაგრამ ყველა გააფუჭეს და ისე მიატოვეს.“

—

ერთს ნემეცურს გაზეთში მოყვანილია ინგლისის პირველი მინისტრის ლორდ ბიკონსფილდისა და მითხად-ფაშის ლაპარაკი ოსმალეთის ახლანდელს მდგომარეობაზედ. მითხად-ფაშას გაუხსენებია, სხვათა შორის, ბიკონსფილდისათვის იმის დაპირება, რომ ინგლისი დაეხმარება ოსმალეთს, როცა რუსეთთან ბრძოლაში ღონე გამოელევა და მტერი იმის ერთობისა და დამოუკიდებლობის დარღვევას განიზრახავსო.

„ამისთანა მდგომარეობაშიაც ახლა არის ოსმალეთიო, იმის ჯარები თითქმის სულ დაილუპა, მხნეობა დაეკარგათ, ხალხი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და დაპირების შესრულების დროც ახლა არისო.“

ამბობენ, ლორდ ბიკონსფილდმა უთხრა თურმე მითხად-ფაშას, რომ სტამბოლის გზაზე დაუხვდებით ჩვენ რუსის ჯარსაო.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

თელავი, 14 იანვარს. ჩვენს ქალაქში ახლათ ვაჭრობის ამხანაგობა სდგება, როგორც ერთმა სარწმუნო პირმა ქართველ მღვდელმა მელაპარაკა, თუ შეასრულეს კიდეც. ჩვენ სამღვდელოებას და ჩვენი სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლებს გვინდაო ამხანაკობა შევადგინოთ და გვინდა მოვიმხროთ კეთილშობილნი ხალხნი და მოსამსახურე ჩინოვნიკებიო, ვინც მსურველი იქმნება ამხანაგობისაო. ამდენ სიძვირეს, სომხების მოვაჭრე ყვლეფას და გაცარცვა ველარ გაუძლითო.

ამათ უნდათ, ფულები გამოიღონ და თავიანთვის ყველა ხორაგეული სასმელი თუ საჭმელი ადგილიდანვე გამოწერონ და გასასყიდლათ იქონიონ და, თუ კარგა წავა ამათი საქმე, ამასაც ფიქრობენ ფარჩეულიც გამოიწერონ და ამით სიძვირე თავიდგან აიცდინონ.

ეს საქმე ყველასთვის სანატრელია და მადლობის ღირსნიც იქნებიან; მაგრამ როგორც მოგეხსენებათ ბევრჯელ შესდგა ამნაირი ამხანაგობა სხვა-და-სხვა ადგილებში და პირველიდგან დაწყებული ეს კეთილ-სანატრელი საქმე წეწვით გათავებულა და დაფუშულა*). ღმერთმა ნუ ქნას, ამათ ეს არ მოელოდესთ და ვინატრი კეთილათ წაეყვანოსთ საქმე.

მაგრამ თუ ამათში ისეთი პირები ჩაერივნენ ამხანაკით, რომელთაც დღეს ფული შაიტანეს, ხვალე დასჭირდათ და სხვაგან სესხით ველარ იშოვნეს და მაშინათვე მოითხოვენ თავიანთ ფულს ამხანაკობისაგან, იტყვიან: ჩვენ გვეგონა, რომ ნახევარი ფასათ გვექნება ყველაფერიო და სხ, მაშინ, უეჭველია, ეს კეთილი-საქმე დაიშლება და მოუხდებათ ამათა

*) რამდენათაც ჩვენ ვიცით, ამგვარი ამხანაგობ- ჩვენში მხოლოთ სამი დაარსებულა: ერთი ქალაქში, მეორე თიონეთში და მესამეც საგარეჯოში და ჯერ-ჯერობით ყველა ეს სამი ამხანაგობა ჩინებულად და წარმატებით მიდის.

რედ.

---

კოდალას კიდევ თვალი ავავლე და მასთან ჩემი ბავშობაც ხელ-მეორეთ თვალწინ წარმომიდგა, მეტის-მეტათ მომენატრა მეცადნა თავი—კიდევ ისე მარჯვეთ ვიხმარდი შვილდ-კოდალას, თუ ვერა.

ჩამოვიღე კედლიდამ, გავაყოფინე ფანჯარაში თავი და იქვე, ბალზე შემომჯდარი ბელურა-ჩიტის მიზანში ამოღება დავაპირე... მოვჭიმე შვილდ-კოდალი, მაგრამ აღარ მომყვა ჩემს ნებაზე: თექვსმეტის წლის განმავალობაში შვილდი გამხმარიყო, ლარი დამპალიყო და კოდალსაც თავში ფუტუროები გასჩენოდა. ერთს მომართვაზე სამივემ თქვენი ჭირი წაიღო: შვილდი გატყდა, ლარი გაწყდა და კოდალსაც თავი მოვარდა! შევჩივლე მამას, მაგრამ რაღა დროს იყო! აღარც თავათ უბრძანებია, ახალი შვილდ-კოდალი გაეკეთებინებიათ და აღარც მე შემიწყენია თავი.—დამტვრეული შვილდ-კოდალა მაინც თავის ადგილას დავკიდე და, იმათ მაგიერ, სულ სხვა გვარი შვილდ-კოდალა შემოვიღე:

+

შინდის ხისაგან შვილდის მაგიერ, გუნდის ხის მელანი ავიღე, ბროწეულის ხის ისარის მაგიერ, ბატის კალამი, წვრილი ჩიტის, წიწილების და „გადიების“ მაგიერ—ჩვენი ქუთაისის ყოველგვარი ცხოვრება და ამ ცხოვრების სულის შთამბერველები, და სარაინდო ადგილათაც—თქვენი პატივცემული გაზეთი, ბატონო რედაქტორო, თუ კი შიგ ხანდისხან გამონადირების ნებას მოგვცემთ.

მაშ, მოვმართოთ ჩვენი ახალი შვილდ-ისარი და გავილაშქროთ, რაინდულათ დავლოთ ქუთაისში!

ნადირი იმდენი სხვა-და-სხვა გვყავს, რომ თვალი ამებნა—არ ვიცი, რომელი ერთი ამოვიღო მიზანში რომ ამ პირველათვე კარგი მონადირის სახელი დავიმსახურო თქვენს წინაშე, უფალო რედაქტორო!....

ფიქრი არ არის! მოვმართოთ შვილდ-ისარი და ამ პირველათ მიზანში 15-ს იანვარს ქუთაისის „საკეთილ-შობილო კლუბში“ გამართული მასკარადი ამოვიღოთ! თუ რომ გაწყრა ღმერთი და რომელიმე მასკა გაგვექცა ან შეუნიშვნელი გაგვეპარა და ვერ ვიცნოთ, მაშინ ან ახალს გაზეთში „ობზორში“ და ან ძველში—„თფილისის მოამბეში“ შემდეგი განცხადება დავბეჭდოთ:

„დაიკარგა მასკა, რომელმაც 15 იანვრის მასკარადში, რამდენიმე უმასკო-მასკიანი პირები მწარე სიმართლის თქმით აალელვა და რომელმაც იმ საღამოსვე, გაპარვის დროს, ფეხ-საცმლის ქუსლი მოვარდა.

„მასკის მნახველს უმორჩილესად ვსთხოვ მოიყვანოს იგი ქუთაისის მეწაღესთან ივ. ჭელიძესთან, რომელსაც, ყოველი შემთხვევისათვის, მოვარდნილი ქუსლი მიბარებული აქვს!.“

შვილდ-ისრელი,

ქართული ანდაზა„ სომხის გუთანი, ქართვლის დუქანი.“

ვიმეორებთ, ღმერთმა ინებოს, რომ ამ საქმის მოთავეებს თადარიგით წაეყვანოსთ და ბეჯითად შეესრულებინოსთ თავიანთი კეთილი განზრახვა და წადილი.

ვაჭარი არა ვარა.

# უცხო ქვეყნები

## საბერძნეთი

ამ დღეებში შესდგა საბერძნეთში ახალი (კუმუნდურუსის) სამინისტრო, რომელიც, ამბობენ, რუსეთის მომხრე და ინგლისის მოწინააღმდეგე პირებისაგან არის შემდგარიო. ათინის პარლამენტის სხდომაზე ამ სამინისტრომ გამოაცხადა თურმე, რომ საბერძნეთი ვალდებულიაო, რომ თავის მოძმეებს თესალიისას და მაკედონიისას დაეხმაროს ოსმალეთის მფლობელობისაგან განთავისუფლებაშიო.

გაზეთებში იწერებიან, რომ რადგან ხალხს ძალიან ჰსურს ოსმალეთთან ბრძოლის დაწყება, ამის გამო ამ ახალი სამინისტროს შედგენა ძალიან გაუხარდათო.

აქედამ ადვილად გასაგებია, რომ, თუ რუსეთსა და ოსმალეთს შუა მორიგება არ მოხდა, უეჭველია, საბერძნეთიც ომს გამოუცხადებს ოსმალეთს და ამ ნაირად დაეხმარება თესალიისა და მაკედონიის ბერძნებს, რომელნიც ამ ჟამად ამდგარნი არიან.

## იტალია

ერთს იტალიურს გაზეთში დაბეჭდილია წიგნი, რომელიც გამოჩენილ იტალიის პატრიოტს—გარიბალდის ახლად იტალიის ტახტზე ასულის ბუმბერტისათვის მიუწერია. ამ წიგნში გარიბალდი ურჩევს კოროლს, რომ თავის წარჩინებულ მამის მაგალითს მიბაძოს და ამ ნაირად ეცადოს, რომ თავის ხალხში თავისუფლება და კეთილ-დღეობა დაამყაროს.

## კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავათმყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-დინ—დოქტორი ონანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და ვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი უშაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ონანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში—1 მან.


# განცხადებანი

იყიდება
უ. ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.
**ეშმაკის ხარო**
მდაბიური ამბავი
ალ. სა. მესხიევისა.
გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან.
**ფასი ერთი შაური**

**ქართული სახალხო სიმღერები**
შეგროვილი და გამოცემული
ზაქ. ჭიჭინაძისაგან.
წიგნი პირველი.
ფასი ყველგან ერთი შაური

**ჩაის მაღაზია**
# პ. ვ. პოპოვისა,
რომელიც იმყოფებოდა გალავინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია **ერევნის მაედანზე, ტერ-ასატუროვის სახლებში.** პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნებავს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი
**რაჟდენ ბედინიძე**

იყიდება თფილისში, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გოლოვინის პროსპექტზე, აზნაუროვის თამბაქოს მაღაზიაში და ქუთაისს ალექსი ჭიჭინაძისას:

# ალმანახი

შედგენილი გ. თუმანიშვილისაგან.

შინაარსი: შვიდი ლექსი თ. ალექსანდრე ჭავჭავაძისა.—ჟორჟ დანდენი, სამმოქმედებიანი კომედია მოლიერისა. სამი ლექსი თ. მახ. ბართ. თუმანიშვილისა. შარშანდელ ქართულ მწერლობის გადათვალიერება.—ეკონომიური სურათები.—პატარა წერილი დიდ საქმეებზე.

ფასი ყველგან ორი აბაზი.

(3—1)


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის აკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 16 იანვარს. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 23 პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 263 სანტიმი. | — | 62 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7½ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 95 | [illegible] |
| მოგებიანი (პირველის ს. | 232 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 229 | 5[illegible] |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | | — |
| ხერსონის ბანკი | 83 | 25 |
| მოსკოვის . . | 83 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 177 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავიზღვის ცეც. გემ. | 527 | — |
| კავკასის და მერკური . | 225 | — |
| პირვ. საზღვევ. საზ. | 745 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი. 18 იანვარს. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 2 | 15 |
| ფქვილი წითელი . . | 1 | 80 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 45 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 8 | 60 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 12 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 8 | 20 |
| — თარაქამისა ფთ. . | 4 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 5 | 40 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 14 | — |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| — ცხვრისა, ლიტრა . | — | 90 |
| სპირტი, გრადუსი . | — | 15 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 9 | 20 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 8 | 20 |
| ყავა გოგვალი, ფუთი . | — | 80 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 14 | — |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 8 | 10 |

Дозволено цензурою Тифлисъ, 20 Января 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.